სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

18 მარტი, 2024 წელი

ბრძანება №01-02/34

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების **,,საფინანსო სერვისები"** (მე-3 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) **და ,,სატყეო საქმე"** (მე-4 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) პროფესიულ სტუდენტთა **შუალედური შეფასების კომისიის ჯგუფის შექმნის, შეფასების ადგილის და დროის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი"-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის N 01-08/986 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,საფინანსო სერვისები" (მე-3 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) და ,,სატყეო საქმე" (მე-4 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფის შექმნის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 07 მარტის N01-02/30 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2024 წლის 12 მარტის №296330 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **ბსუ-ს** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების **,,საფინანსო სერვისები"** (მე-3 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) **და ,,სატყეო საქმე"** (მე-4 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) **პროფესიულ სტუდენტთა** შეფასების მიზნით შეიქმნას შუალედური შეფასების კომისიები და განისაზღვროს **შეფასების ჩატარების დრო და ადგილი, კერძოდ:**

1.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საფინანსო სერვისები" (მე-3 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) პროფესიული სტუდენტის შეფასების მიზნით **შეიქმნას შუალედური შეფასების კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

ა) თინათინ ბერიძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საფინანსო სერვისები" ხელმძღვანელი;

ბ) თათია სეფერთელაძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი;

გ) დარინა ჭაღალიძე - ა(ა)იპ ხელვჩაურის მუნიციპალიტეტის ინსპექციის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი საბიუჯეტო საკითხებში;

დ) ნანა ქათამაძე - ლიბერთის ბანკის, ბათუმის N7 სერვისცენტრის საოპერაციო მენეჯერი;
ე) სალომე ქერქაძე - ლიბერთის ბანკის, ბათუმის 176-ე ფილიალის მმართველი;
ვ) თეკლე ბასილაძე - ლიბერთის ბანკის, ბათუმის N629 სერვისცენტრის საოპერაციო მენეჯერი;

1.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **„საფინანსო სერვისები"** (მე-3 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) **შუალედური შეფასება ჩატარდეს 2024 წლის 30 მარტს 15:00 საათზე,** ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15, აუდიტორია N305;

1.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„სატყეო საქმე"** (მე-4 დონე, 2022 წლის საშემოდგომო მიღება) პროფესიული სტუდენტის შეფასების მიზნით **შეიქმნას შუალედური შეფასების კომისია** შემდეგი შემადგენლობით:
ა) რუსლან დავითაძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე" პროგრამის ხელმძღვანელი;
ბ) ლამზირა გორგილაძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე" პროგრამის ხელმძღვანელი;
გ) დარეჯან ჯაში - ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
დ) რეზო ვასაძე - სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს ტყის მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი;
ე) ჯუმბერ აბულაძე - სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსი;
ვ) ბიძინა კოჩალიძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი;
1.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„სატყეო საქმე"** (მე-4 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) პროფესიული სტუდენტის **შუალედური შეფასება ჩატარდეს** 2024 წლის **30 მარტს,** 11:00 **საათზე,** ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15, აუდიტორია N305.

2. შუადედური შეფასების კომისიამ იხელმძღვანელოს „ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის N01-08/986 ბრძანებით.**
3. დაევალოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს (მამუკა გოგელიას) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შუალედური შეფასების ადგილისა და თარიღის შესახებ.
4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება (პროფესიული პროგრამების ველში).
5. წინამდებარე ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე) და სტრუქტურულ ერთეულებს (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და შუალედური შეფასების კომისიის წევრებს).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**